ოქმი:**ო63. 6324340001**
თარიღი:**05/12/2024**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**სხდომის**

**ო ქ მ ი N 20**

**ქ. სამტრედია. 2 დეკემბერი, 2024 წელი.**

2024 წლის 2 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

***სხდომას ესწრებოდნენ:*** ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, როლანდ ეცადეიშვილი, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ავთანდილ თადუმაძე, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

1. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

2. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ნატო ჯულაყიძე.

3. გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად განიხილა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **2 დეკემბრის** სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**

**1.** დამტკიცდეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის **2 დეკემბრის** სხდომის დღის წესრიგი:

1. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტის მოწონების შესახებ.

   **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./**

2. ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   **/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია./**

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისა და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, გრიგოლ ჯულუხიძის სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ.

   **/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ირ. მელაშვილი./**

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ კორპორაციულ ნომრებზე სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის N8-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   **/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./**

5. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   **/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ. სირბილაძე./**

**6. სხვადასხვა.**

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 31-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (31 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 2 დეკემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

განცხადების უფლებას ითხოვა, საკრებულოს წევრებმა: კობა ძიძიგურმა და ემზარ შუბლაძემ.

კობა ძიძიგური - ,,საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს საქართველოს ევროპულ მომავალს, რაც 2017 წელს აისახა საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლში - ,,კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა, ევროპის კავშირსა და

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად''. საქართველოს პრემიერის განცხადება აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, გვართმევს ევროპულ მომავალს და დამყარებულია რუსულ ძალადობაზე და მივყავართ ისევ რუსეთის იმპერიაში. 1921 წლის ანალოგი მეორდება, გამოვფხიზლდეთ. არაა პიროვნული ქიშპობის დრო, დაფიქრდით საით მივდივართ... ამერიკამ უარი თქვა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობაზე, როგორ დაიცავთ საქართველოს ტერიტორიას რუსეთისაგან? ვგმობ ზღვარგადასულ ძალადობას და სისასტიკეს თვითმარქვია ხელისუფლების მხრიდან და მოგიწოდებთ თქვენც გაემიჯნოთ ამ ძალადობას და სისასტიკეს. (განცხადება, ოქმს თან ერთვის).

ემზარ შუბლაძე - საკრებულოს უმრავლესობას უდიდეს პატივს ვცემ და დიდი ურთიერთობა მაქვს, მე ამას ყველაფერს ვითვალისწინებ და ვიაზრებ. ამიტომ ვაკეთებ განცხადებას. დღეს არის განსაკუთრებული პერიოდი საქართველოში. ქვეყანა რეალურად მიდის რუსეთისკენ. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო 4 დღის წინ პრემიერ მინისტრის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ყველანაირ კავშირს წყვეტს ევროკავშირთან. რაც ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს იმას, რომ ეს არის გზა რუსეთისკენ. ბუნებრივია ამას მოყვება პროტესტი ქართველი ხალხისაგან. ამას ვერავინ ვერ შეაჩერებს. ამიტომ ჩემი მოწოდება იქნება, ის ადამიანები, რომლებსაც პატივს ვცემ, არ აღმოჩნდნენ ისტორიის არასწორ მხარეს. აქედან გამომდინარე ჩემი მოწოდება იქნება, გაემიჯნეთ ხელისუფლებას და დავამთავროთ ერთხელისუფლებიანობა, ერთი ადამიანის მართვა და საბოლოო ჯამში ქვეყნის დაღუპვა. ჩვენ, პროტესტის ნიშნად, ვტოვებთ საკრებულოს სხდომას.

საკრებულოს წევრის, კობა ძიძიგურის და ემზარ შუბლაძის განცხადებებს, მწვავედ გამოეხმაურნენ საკრებულოს წევრები: ვაჟა სტურუა, მ.სირბილაძე, ტარიელ ცომაია.

> ვაჟა სტურუამ მიმართა გამომსვლელებს - თქვენი გადასაწყვეტია დატოვებთ თუ არა საკრებულოს სხდომას. თქვენ ხელოვნურად გინდათ შექმნათ პროვოკაცია. ვთვლით, რომ ჩვენ არჩეული გვაქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიის სწორი მხარე. პრემიერ მინისტრის განცხადებით **„არათუ ევროინტეგრაციის პროცესი არ ჩერდება, არამედ კიდევ უფრო აქტიურდება ჩვენი ძალისხმევა 2030 წელს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების უზრუნველსაყოფად.** მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, 2028 წლამდე განეიტრალდეს ქართულ სახელმწიფოზე პოლიტიკური ზეწოლის ნეგატიური ეფექტი და გავაკეთოთ ორიენტირება უშუალოდ საქმის კეთებაზე. ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შევასრულოთ ყველა ვალდებულება. 2028 წლის შემდეგ, მოხდება მოლაპარაკების გახსნის საკითხის, ჩვენს მიერ განახლება. 2030 წლისთვის, როდესაც ისედაც იგეგმება [ევროკავშირის] აღმოსავლეთისკენ გაფართოება, საქართველო იქნება ყველაზე უფრო მზად იმისთვის, რომ მიგვიღონ ევროკავშირში". ასე, რომ თქვენი ინტერპრეტაცია და ცრუ ბრალდებები არ შეესაბამება სინამდვილეს.

***საკრებულოს სხდომა, პროტესტის ნიშნად, დატოვა საკრებულოს 8 წევრმა: კ.ძიძიგურმა, ე.შუბლაძემ. ა.თადუმაძემ, აკ.მინაშვილმა, ქ.კუტალაძემ, მ.ბარბაქაძემ, დ.ნიკოლეიშვილმა, გ.ჯულაყიძემ.***

***დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტის მოწონების შესახებ''.

მომხსენებელმა გააცნო, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024***

***წლის 12 ნოემბრის*** N62-622431736 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, განკარგულების პროექტის, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტის მოწონების შესახებ'', საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების საკითხს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები''-ს მე-2 მუხლის შესაბამისად, განიხილა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტის მოწონების საკითხი. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

**დანართი №1**

**ინფორმაცია**

**საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,**

**სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი 23 პროექტის შესახებ**

| № | პროექტის დასახელება | პროექტის ღირებულება (ლარი) | | პროექტის შესასრულებელი ვადები | | შენიშვნა (რეგიონული ფონდიდან მოთხოვნილი თანხა) |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მ.შ. თანადაფინანსება | დაწყება | დასრულება | |
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ქ. სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩაზე N316 საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია | 179,987 | 8,999.00 | დეკემბერი | მარტი (2025 წელი) | 170,988.00 |
| 2 | ქ. სამტრედიაში, აღმაშენებლის ქუჩაზე N314-ის მიმდებარე | 91,067 | 4,553.00 | დეკემ | მარტი (2025 | 86,514.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია | | | ბერი | წელი) | |
| 3 | ქ. სამტრედიაში, თამაზ დუნდუას N1-ში საცხოვრებელი კორპუსის ფასადისა და სახურავის რეაბილიტაცია | 199,310 | 9,965.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 189,345.00 |
| 4 | სოფ. ნაბაკევისა და სოფ. ღანირის კულტურის სახლების რეაბილიტაცია | 300,000 | 15,000.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 285,000 |
| 5 | გომის ადმ. ერთეულის სოფ. კორმაღალში ე.წ. კოკოშელას უბანში ასფალტო-ბეტონის გზის მოწყობა | 508,901 | 25,446.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 483,455 |
| 6 | ქ. სამტრედიაში, მანჯგალაძის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია | 100,000 | 5,000.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 95,000 |
| 7 | ქ. სამტრედიაში, ნიკოლეიშვილის ქუჩაზე სტადიონის მოწყობა | 145,000 | 7,250.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 137,750 |
| 8 | ქ. სამტრედიაში, ახალგაზრდობის ქუჩაზე ტბის მიმდებარედ სტადიონის მოწყობა | 100,000 | 5,000.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 95,000 |
| 9 | სოფ. ქვაყუდეში ბერძნისწყლის დასახლებაში ტორღუას უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 397,956 | 19,898.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 378,058 |
| 10 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.მეორე ნიგორწღვაში მე-9 ქუჩაზე (მე-11 ქუჩის ნაწილი) ბეტონის საფარის მოწყობა | 208,672.00 | 10,433.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 198,239.00 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამოჩინებულის ადმ. ერთეულში გაბიოონისა და სანიაღვრე არხის მოწყობა | 89,847.00 | 4,492.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 85,355.00 |
| 12 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ღანირში თევზსაშენთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და არხების ამოწმენდა | 106,782.00 | 5,339.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 101,443.00 |
| 13 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ღანირში მოცვისა და ტყემლის ბაღებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა | 66,345.00 | 3,317.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 63,028.00 |
| 14 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ.ქვაყუდეში მთავარი გზიდან საწვიმის უბნისკენ მისასვლელი გზის რებილიტაცია | 59,439.00 | 2,971.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 56,468.00 |
| 15 | სოფ. ქვაყუდეში ეკლესიიდან გია ახალაძის სახლის მიმართულებით გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | 116,832.00 | 5,841.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 110,991.00 |
| 16 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმ. ერთეულში სოფ. კორმაღალში ე.წ. ,,კოკოშელას უბანში" | 1,100,710.00 | 55,035.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 1,045,675.00 |
| 17 | სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფ. დიდი ჯიხაიშში N41 ქუჩის რეაბილიტაცია | 95,154.00 | 4,757.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 90,397.00 |
| 18 | ქ. სამტრედიაში დიდგორის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა | 51,635.00 | 2,581.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 49,054.00 |
| | | | | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | ქ. სამტრედიაში ახალგაზრდობის ქუჩაზე გაბიონის კედლის მოწყობა | 41,586.00 | 2,079.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 39,507.00 |
| 20 | ქ. სამტრედიაში თ. დუნდუას ქუჩაზე N3;N4 და N5 ბინის ეზოების მოასფალტება | 64,389.00 | 3,219.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 61,170.00 |
| 21 | სოფ. ტოლებში ვაზისუბანი-ნოღას დამაკავშირებელ გზაზე ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია | 40,737.00 | 2,036.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 38,701.00 |
| 22 | სოფ. ბუღნარაში მორეშავის უბანში გზის რეაბილიტაცია | 396,824.00 | 19,841.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 376,983.00 |
| 23 | სოფ. დიდი ჯიხაიშში N29 გზაზე ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა | 165,599 | 8,280.00 | დეკემ ბერი | მარტი (2025 წელი) | 157,319.00 |

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (23 ხმით),დამტკიცდა განკარგულება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებელი **23 პროექტის მოწონების** შესახებ''.

***დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ტარიელ ცომაიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, **,,ჰაბიტატი თანასწორობის,** მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 5 ნოემბრის*** N62-622431061 წერილობითი მომართვის საფუძველზე ხორციელდება ცვლილება ზემოთ აღნიშნულ განკარგულების პროექტში.

ორგანიზაცია – ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის ,,სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის'' ფარგლებში, სამტრედიაში 2009 წლიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 16 ბავშვისთვის, უზრუნველყოფს დღის ცენტრის მომსახურების მიწოდებას (შაბათ–კვირის და უქმე დღეების

გარდა) ყოველდღიურად. ცენტრის მომსახურება ხორციელდება სამტრედიის N1 საბავშვო ბაღის ბაზაზე, პირველ სართულზე გამოყოფილ ფართში (158,96 კვ.მ.), მის. ქ. სამტრედია, ჭანტურიას ქ. N72, საკადასტრო კოდი: N34,08,55,957, სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის (HEAD) 2022 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების ფარგლებში. ხელშეკრულება და ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი მიზნად ისახავს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას და მათ უზრუნველყოფას თანაბარი შესაძლებლობებით. უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ შევძელით სამტრედიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 200– მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის და მათი ოჯახის წევრების ცხოვრება შეგვეცვალა უკეთესობისკენ. ვინაიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის'' (HEAD) შორის გაფორმებული ხელშეკრულების ვადა ამოიწურა, მოგმართავთ თხოვნით, რომ დავიწყოთ მუშაობა ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან ავირიდოთ მომსახურების მიწოდების პროცესში ადმინისტრაციული პროცედურების შეუსრულებლობით გამოწვეული შეფერხება.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მიეცეს თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, ,,ჰაბიტატი თანასწორობის, მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს, ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართი.

- პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,ქალაქ სამტრედიაში, გიორგი ჭანტურიას ქუჩა №72-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობიდან, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.55.957) 158.96 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისთვის, **,,ჰაბიტატი თანასწორობის,** მიღწევების და განვითარებისთვის" (საიდენტიფიკაციო ნომერი-412767448) გადაცემის შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე''.

***დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, **სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისა** და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, გრიგოლ ჯულუხიძის სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ''.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან, 2024 წლის 23 ივლისს საკრებულოში შემოვიდა*** წერილობითი მომართვა N2-622420538, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ

ჩხენიშში მცხოვრებთა განცხადებას, რომლითაც ითხოვენ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩას შეეცვალოს სახელი და მას მიენიჭოს (ეწოდოს) გრიგოლ ჯულუხიძის სახელი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ქუჩის სახელდება. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"-ქვეპუნქტის ,,ა.ე"-ქვეპუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის №239 დადგენილებისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილების მიხედვით, განათლების, კუტლტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ განიხილა აღნიშნული საკითხი. 2024 წლის 26 ნოემბერს კომისიამ ჩაატარა გასვლითი სხდომა. შეხვდა სოფელ ჩხენიშის მცხოვრებლებს, რომლებმაც გამოხატეს თანხმობა მე-10 ქუჩისათვის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით. ვინაიდან, ბატონი გრიგოლ ჯულუხიძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, გამონაკლისის წესის თანახმად, საჭიროა საკრებულომ მიიღოს განკარგულება, სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისათვის, გრიგოლ ჯულუხიძის სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ. ამის შემდეგ შესაბამისი დოკუმენტაცია იგზავნება სახელდების სამთავრობო კომისიაში. კომისიიდან მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საკრებულო მიიღებს განკარგულებას სახელდებასთან დაკავშირებით.

მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა მიენიჭოს, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩას და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებს, გრიგოლ ჯულუხიძის სახელი.**

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის, **სოფელ ჩხენიშში მე-10 ქუჩისა** და მე-10 ქუჩის I და II ჩიხებისათვის, გრიგოლ ჯულუხიძის სახელის მინიჭებისათვის, თანხმობის მიცემის შესახებ''.

***დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ **კორპორაციულ ნომრებზე** სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის Nგ-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომელშიც საკრებულოს წევრის, ნუგზარ ჯამბურიას, გარდაცვალების გამო და ასევე ახალი წევრის, როლანდ ეცადეიშვილის უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით, განხორციელდა შესაბამისი ცვლილება. კორპორაციული ნომრების სიას გამოაკლდა ნუგზარ ჯამბურია და დაემატა როლანდ ეცადეიშვილი. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეებისათვის განკუთვნილ **კორპორაციულ ნომრებზე** სააბონენტო გადასახადის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის N8-63.632135728 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

***დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით*** მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **აპარატის დებულების დამტკიცების** შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლიდან ამოღებულ იქნას „$2^1$" პუნქტი.
2. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლს დაემატოს ,,ვ'' ქვეპუნქტი. რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ'') „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ", საქართველოს კანონის შესაბამისად, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს."

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა წევრმა.

***დაადგინეს:*** კენჭისყრის შედეგად (23 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **აპარატის დებულების დამტკიცების** შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 4 ივნისის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/დადგენილება თან ერთვის/**

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

***სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე***

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი